№ 33
ოთხშაბათი, 15 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 33
ოთხშაბათი, 15 თებერვალი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—3)

5) 1894 და 1895 წლის ხარჯთაღრიცხვა.

6) მოხსენება სხვა-და-სხვა კითხვებისა.

---

ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობის **წლიური კრება** დანიშნულია 25-ს თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1893 წლის ანგარიში.

2) არჩევა მმართველობის წევრებისა.

3) არჩევა სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

4) მიღება ახალის წევრებისა.

---

## ტფილისი, 14 თებერვალი.

ახლანდელი ეკონომიური მეცნიერება გვასწავლის, რომ კაპიტალისტური წეს-წყობილების დასამყარებლად და განსავითარებლად საჭირო უმთავრესად სამის გარემოების არსებობა. პირველად—საჭირო არსებობდეს ფულისა და წარმოების იარაღთა პატრონი, რომელსაც საგნად აქვს სიმდიდრის შეძენა და ამ სიმდიდრის გამრავლება; მეორედ უნდა არსებობდეს მუშა, რომელსაც თავის ძალ-ღონის მეტი არა აბადია-რა და რომელიც არსებობისათვის სალსარს მხოლოდ ამ ძალ-ღონის გაყიდვით ჰპოულობს. მესამე გარემოება, ურომლისოდაც კაპიტალიზმს არ შეუძლია იზარდოს—არის ბაზრის არსებობა, სადაც ყოველგვარს ნაწარმოებს თავისუფალი გასავალი აქვს. თუმცა ეს სამი გარემოება მარტო კაპიტალისტურ წეს-წყობილების ხასიათი არ არის და სხვა ეკონომიურ ფორმისათვისაც საჭიროა, მაგრამ კაპიტალისტური ფორმა იმითი განსხვავდება სხვა ფორმებიდგან, რომ შექმნილი სიმდიდრე მთელად ეკუთვნის კაპიტალისტს; მწარმოებელს-კი აძლევს მხოლოდ იმდენს დღიურს საზრდოს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ მუშა შიმშილით არ მოკვდეს. სხვა წესით შეიძლება ფულის პატრონი თვით იყოს მუშა-მწარმოებელი და მაშასადამე ნაწარმოებიც მაშინ მას ეკუთვნის.

როდესაც დასავლეთ-ევროპაში კაპიტალიზმმა პირველად იჩინა თავი, წინ გადაეღობა დიდი დამაბრკოლებელი გარემოება: მაშინ არ არსებობდა თავისუფალი მუშა, რომლის დაქირავება ფულის პატრონს შეეძლო იმ პირობებით, რა პირობებითაც მას ჰსურდა. იმ დროს არსებობდა ფეოდალური წეს-წყობილება, რომლის ძალით ხალხი მიწაზედ იჯდა, მიწა-წყლით სარგებლობდა. ახლად აღმოჩენილმა კაპიტალიზმმა დაიწყო ამ დამაბრკოლებელის გარემოების დარღვევა და შეცვლა. ევროპაში დადგა ხანა, რომელსაც მეცნიერება უწოდებს" პირველ-დაწყებითს შეგროვების ხანად" („стадія первоначаьнаго накопленія"). ეს ხანა გამოიხატება იმაში, რომ მუშაკს და იმავე დროს საკუთრების მეპატრონეს ატოვებინებენ საკუთრებას, ართმევენ წარმოების იარ ღებს (отдѣленіе работника отъ средствъ производства или собственности).

ფეოდალების შინა-ყმათა, ეკკლესიათა და მონასტერთა ყმების უმიწაწყლო განთავისუფლებამ შექმნა პირველი რაზმი კაპიტალიზმისათვის საჭირო მუშებისა. წარმოება და ვაჭრობა გაძლიერდა, ახალშენების მოპოვებით და დაპყრობით ბაზარი გაფართოვდა, ნაწარმოების დასაქონლის საჭიროებამ იმატა. ამისთვის კაპიტალიზმს დასჭირდა ახალი რაზმები თავისუფალის მუშებისა, აქედან დადგა ევროპაში ის საშინელი დრო, როდესაც გლეხებს დაუწყეს წართმევა მიწა-წყლისა მოტყუებით და ძალადობით, კანონიერისა და უკანონო საშუალებით აყარებელი გლეხკაცობა იძულებული იყო დაეტოვებინა სახლ-კარი, მამა-პაპა და მისის ოფლით, ვაება-ტანჯვით შემუშავებული მიწა და გადასულიყო ქალაქებში პროლეტარიების რაზმის გასამრავლებლად. ეს ხანა მეტად ხანგრძლივი და საზარელი იყო ევროპისთვის, დიდის გაჭირვებით და ტანჯვით გადიტანა მან ეს ცვლილება, მაგრამ მეტი გზა არ იყო: დაწყებულს ევოლიუციას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა. საშუალო საუკუნოების ეკონომიური ფორმა, რომლის ძალითაც არსებობდა მესაკუთრე მიწათმოქმედი სოფლად და მესაკუთრე ხელოსანი ქალაქად, ეწინააღმდეგებოდა ახალს ეკონომიურს ფორმას, რომელსაც საფუძველად ჰქონდა კოოპერაცია და შრომის დანაწილება. ამისთვის ძველს ფორმას უთუოდ უნდა დაეთმო ადგილი ახალისათვის.

ამგვარად პირველ-დაწყებითი ისტორია კაპიტალიზმისა არის ექსპროპრიაცია მიწისა, ექსპროპრიაცია წარმოებისა და სასოგადოდ არსებობის იარაღთა, ესე იგი ჩამორთმევა საკუთრებისა მიწად-მოქმედთა და ხელოსანთა. ამით არ თავდება კაპიტალიზმის პროცესსი; შემდეგ იგი გამოიხატება იმაში, რომ ერთი კაპიტალისტი საკუთრებას ართმევს მეორე კაპიტალისტს, კაპიტალისტთა რიცხვი თან-და-თან კლებულობს, ხოლო უმიწა-წყლო და უიარაღო მუშაკთაკი თანდათან ჰმატულობს. ამ რიგად კაპიტალისტური წეს-წყობილება თითონ ითხრის თავისთვის ორმოს და დადგება დრო, როდესაც, როგორც მარქსი ამბობს, მოხდება ექსპროპრიაცია მათი, ვინც წინად ახდენდა ექსპროპრიაციას, ესე იგი, კაპიტალისტური წესწყობილება, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზედ და იმავე დროს ამ კერძო საკუთრების მტერია, შეიცვლება კოლლექტივურ წეს-წყობილებად, რომლის ძალითაც მიწა და ყოველივე იარაღი წარმოებისა საზოგადო საკუთრებად შეიქნება.

მართალია, კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ შესძინა ახლანდელს ევროპას აუარებელი სიმდიდრე, საკვირველად განვითარებული მრეწველობა, დიდი აღებ-მიცემობა, სამაგალითო კულტურა და მიანიჭა მას ბატონობა მთელს დედამიწაზედ. მაგრამ ყველამ იცის, რა ძვირად დაუჯდა ევროპის ერთა ეს სიმდიდრე და კულტურა. მაგალითად ინგლისის ერი იმ წერტილამდე რომ მისულიყო, რა წერტილზედაც ახლა სდგას, მას ჯერ გლეხკაცობისათვის უნდა ჩამოერთმია მიწა-წყალი, მერე ქალაქის ხელოსანისათვის მისი პატარა სახელოსნო და ეს აუარებელი ხალხი უნდა შეეგროვებინა ვეებერთელა ქალაქებში, სადაც ეს რამოდენიმე მილიონი ხალხი—ნახევრად მშიერი, ნახევრად ტიტველი, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა,—დღეც და ღამეც მუშაობდა ერის უმცირეს ნაწილის გასამდიდრებლად. მუშაობს ამოდენა ხალხი მადნებში და ქარხნებში, სოფელში და ქალაქში, ჰქმნის აუარებელს სიმდიდრეს, რომლითაც სარგებლობს ერის უმცირესი ნაწილი, თვით შემქნელს-კი ამ სიმდიდრეთა—არაფერი არ გააჩნია, არა გააჩნია-რა იმ ლუკმა პურის მეტი, რომელიც მისთვის საჭიროა, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რომლის მოპოვებისათვის მას ყოველდღიური გამწარებული ბრძოლა აქვს. ეს, რასაკვირველია, ანორმალური მოვლენაა და შეიცვლება ან სოციალურის რევოლიუციით, ან თვით კაპიტალისტურის პროცესსის იმ ბუნებრივის ევოლიუციით, რომელიც ზევით ავსწერეთ.

ამ ყოფა-ცხოვრებაშია დღეს დასავლეთ ევროპის ერთა ცხოვრება. სხვა ჩამორჩენილ, დაქვეითებულ ერებისათვის-კი ერთი საგანი იბადება აუცილებელ გასარკვევად და ასახსნელად: შეიძლება თუ არა ერი გამდიდრდეს, განვითარებული მრეწველობა, აღებ-მიცემობა და საზოგადოდ მაღალი კულტურა დამყარდეს, ისეკი რომ ამ ერის უმრავლესობა არ დაიჩაგროს, არ გაღატაკდეს? ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებაო, გვეუბნება

---

# ფელეტონი

### ორიოდე სიტყვა სოფლის მკურნალებზედ და მკურნალობაზედ.

ვინც თვალთა-ხედვის და დაკვირვების ნიჭს სრულიად მოკლებული არ არის და ვისაც ცოტა ხნით მაინც უცხოვრია სოფელში, დამეთანხმება, რომ უმეტესი ნაწილი დაბალის ხალხისა ჯერ კიდევ უმეცრების წყვდიადით არის გარემოცული. უაღრესი სილატაკე, ათასგვარი ცრუ-მორწმუნეობა, ზნეობის დაცემა ამ უმეცრების პირდაპირი შედეგია; და ჯერ კიდევ ბევრი წელი გაივლის, ორი და სამი თაობა გამოიცვლება, სინამ ხალხში ცოდნის სხივი შეაშუქებს და თითქმის პირუტყვულს ცხოვრებას ადამიანურს სახეს მისცემს. ამისათვის ყოველი შეგნებული და საღის ჭკუის ადამიანი, ვისაც ხალხის სიკეთისათვის ცოტათი არის გული შესტკივა, ყოველს თავისს ძალ-ღონეს უნდა ჰხმარობდეს განსაფანტავად ამ უმეცრების სქელის წყვდიადისა, რომლის საფარს ქვეშ თავისუფლად დაზოზავენ ათასი ქვემძრომნი, მოხერხებულად სარგებლობენ ხალხის უვიცობით და დაუსჯელად, შუბრალებლად სწიწკნიან შიშველ-ტიტველ, ძონძებში გახვეულ გლეხ-კაცის სხეულს. აქ არის საჭირო მედგარი თავ-განწირული ბრძოლა სიტყვით თუ საქმით ამ ხალხის კეთილ-დღეობის დაუძინებელ, საშიშარ მტერებთან.

ბრძოლის იარაღთა შორის, უსათუოდ, არა მცირედი ადგილი უჭირავს ბეჭდვითს სიტყვას, რომლის შემწეობითაც საქვეყნოდ უნდა ცხადდებოდეს და იდევნებოდეს ყოველი ნაბიჯი ამ ბეჩავის ხალხის მძარცველმგლეჯავებისა. ამ მხრით დიდად კარგს სამსახურს უწევენ ქვეყანას ყველა ისინი, რომელნიც დალაგებით და პირ-უთვნელად აუწყებენ საზოგადოებას გაზეთის ფურცლებზედ იმათ თავ-აშვებულს და ყოველის პატიოსანის გულის ამმღვრევს საქმეებს. ასეთი პირნი დიდად მადლობის ღირსნი არიან. მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმ სამწერლო ქავილით გატაცებულს ვაჟბატონებზედ, რომელნიც დევნის მაგიერ ვაშა-ვაშას დასძახიან ხალხის წურბელებს და იმათს მოქმედებას მეცნიერებისათვის წასაბაძავ მაგალითადაც-კი ხდიან?!

სწორედ ამ ჯურის კორესპონდენტებს ეკუთვნის ის ბატონიც, რომელმაც „ივერიის" შარშანდელს 275 №-ში ხოტბა-დიდება შეასხა ვიღაც მარჩიელს დედაკაცს, აქაო და სასწაულებს შვრებაო და იმიტომ მოხვედით ყველა ნასწავლმა ექიმებმა ქვეყნის ოთხივე კუთხით, - მოიდრიკეთ მის წინ მუხლი და ღაღადჰყავით: „ჰოი, საკვირველო, მკურნალთა მკურნალო! აღახვენ საიდუმლოებით მოცულნი ბაგენი შენნი, და გვასწავე, თუ ვითარ სასწაულ-მოქმედებო?" თურმე, ნუ იტყვით, მკურნალთა მკურნალს ქალსაც, —რა დიდ-სულოვანის ბუნებისა ყოფილა! თანხმობა გამოუცხადებია, მოწყალების თვალით გადმოგვხედოს ექიმებს და გვასწავლოს ის უებარი წამალი, ის უკვდავების წყარო, რომლის შემწეობითაც იგი თურმე ისეთს ავადმყოფებს არჩენს, რომლებზედაც ხელი აიღეს სულ ყველა ნასწავლმა ექიმებმა. ფოტინე თავართქილაძის ასულს იმას გარდა, რომ შეუდარებელი მკურნალია, თურმე გასაოცრად სნეულების გამოცნობაც სცოდნია, ესე იგი დიდი დიაგნოსტი ბრძანებულა. ერთს ვიღასაც «მუწუკი» გამოჰსვლია ბარკალზედ ბ, წარმოიდგინეთ, ქალაქის მიხეილის საავადმყოფოში ვერც ერთს ექიმს ვერ გაუგია, რა სჭირდა ავადმყოფს, თავართქილაძის ქალს კიდეც გაუგია და კიდეც მოურჩენია! იქნება, ბ. კორესპონდენტო, ის ავადმყოფი „თვალნაკრავი" ან «უჟმურ-შეყრილი» იყო და, რა გასაკვირველია, თუ ნასწავლმა მკურნალებმა, რომელთაც მაგ სენისა ინჩიც არ გაეგებათ, ვერ გამოიცნეს! ახ, საბრალო ექიმებო! როდის გეღირსებათ, რომ ფოტინე თავართქილაძის ასულმა დიაგნოსტიკა გასწავლოთ.

ერთის სიტყვით, ბ-ნს კორესპონდენტს რომ დავუჯეროთ, გურიაში ჯანაოზ-აქიმი გამოჩენილა და თუ ღმერთმა ინება და თავისი საიდუმლო გამოაქვეყნა, იგი უეჭველად გაამდიდრებს სამკურნალო მეცნიერების სალაროს არა ერთის უებარის საშუალების შეტანით. ღმერთმა ინებოს! ჩვენ სიხარულის მეტი არა დაგვრჩენია-რა. მანამდის-კი, სანამ ეს მოლოდინი გამართლდებოდეს, ჩვენ ნებას მივსცემთ ჩვენს თავს ეჭვი შევიტანოთ ფოტინე თავართქილაძის ქალის ცოდნაზედ და ჩავრიცხოთ იგი იმ აუარებელ სოფლის მკურნალთა თუ მკითხავთა გუნდში, რომელნიც კაცთ-მოყვარეობის სახელით ცრუ-მორწმუნე და უმეცარ ხალხის გათხელებულს ჯიბეს ეპოტინებიან.

რამდენზედ დახელოვნებული მკურნალი ბრძანდება კორესპონდენტისაგან განდიდებული თავართქილაძის

პასუხად ახლანდელი ეკონომიური მეცნიერება, როდესაც მიწა-წყალი და წარმოების ყველა იარაღი კერძო საკუთრებად-კი არა, არამედ საზოგადოების საერთო კუთვნილებად შეიქნებაო. როდესაც წარმოების იარაღნი—მათ შორის მიწაც—ერის საერთო საკუთრებათ გახდება, მხოლოდ მაშინ სიმდიდრე და ყოველი ნაწარმოებიც საერთო კუთვნილებათ გარდიქცევა. მაგრამ ეს დრო შედარებით ჯერ შორს არის, ამიტომ აქ მეორე საგანი იბადება.

თუ კაპიტალიზმის დამყარებას წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, თუ მისს კანონებს იმგვარი ძალა აქვსთ, რომ ადრე თუ გვიან გზა უნდა გაიკაფონ, შეიძლება რომ რამენაირად შევუმსუბუქოთ ერს კაპიტალისტური პროცესსის ის მავნებელი მხარე, რომელიც ასე საშინლად სჩაგრავს უმრავლესობას? ამის შესახებ მეცნიერებაცა და გამოცდილებაც გვეუბნებიან: — ,,ეს შესაძლებელი საქმეაო‘‘.

რა გზით და რა რიგად შეიძლება მოხერხდეს ეს საქმე?

ეს დამოკიდებულია ერის დღევანდელს ეკონომიურს ვითარებაზედ. ავიღოთ ჩვენი ქვეყანა და განვიხილოთ მისი მდგომარეობა ამ მხრით.

(დასასრული ხვალ)

## მთავრობის განკარგულებანი.

ასლანდუზის მსროლელ ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი ჩირდილელი 177-ტე ქვეითა მსროლელ კრასნოსტავსკის რაზმის უფროსად იქმნა დანიშნული.

სამსახურში ჩაირიცხა: ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორაში სტოლის უფროსად ნამყოფი ცისკარაშვილი ტფილისის გუბერნიის, თიონეთის მაზრის პოლიციის სამმართველოს მე-X-ე კლასის შტატ გარეშე მოხელის თანამდებობაზედ.

საბაჟო გარდასახადების დეპარტამენტში მიწერილი, პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილში, მე-2-რე ხარისხით, სწავლა დამთავრებული ქართველიშვილი უზანადინის საბაჟოს მდივნად იქმნა დანიშნული 3 იანვარს.

ბაქოს საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწე, ტიტულიარნი სოვეტნიკი კახიძე ამავე საოლქო სასამართლოს ნაწილის უფროს კანდიდატის თანამდებობაზედ იქმნა დანიშნული.

სასულიერო სემინარიებში მასწავლებლებად დანიშნულ-იქმნენ: ღვთის მეტყველების კანდიდატნი კელენჯერიძე და ნედელსკი,—პირველი ქუთაისის სემინარიაში, ქართულის საეკლესიო ენის მასწავლებლად, ხოლო მეორე ტფილისის სასულიერო სემინარიაში, გომილეტიკისა, ლიტურგიკისა და მღვდელთა პრაქტიკულ სახელმძღვანელოის მასწავლებლად.

# ახალი ამბავი

** მოსკოვიდგან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში დაბეჭდილა ბ-ნ ა. ხახანაშვილის ახალი თხზულება: ,Очерки по исторіи Грузинской, словесности, выпускъ I Народный эпосъ и апокрифы‘‘. ეს თხზულება ეთნოგრაფიულ საზოგადოების მიერ უკვე დაჯილდოვებულ-იქმნა ოქროს მედალით.

,,მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების შრომის‘‘ XV ტომში დაბეჭდილია ხახანაშვილისავე წერილი: ,,ბიოგრაფია და მოღვაწეობა დ. ბაქრაძისა.‘‘

** 11 თებერვალს ქართულს თეატრში წარმოდგენილს «სამშობლოს», რომელიც ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების‘‘ სასარგებლოდ იყო გამართული, იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ბევრნი იძულებულნი იყვნენ უბილეთობის გამო უკან დაბრუნებულიყვნენ. თეატრი სავსე იყო. შემოსავალი 1,000 მან. მეტია.

** 12 თებერვალს სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილს ცაგარლის კომედიას ,,რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ‘‘, რომელიც უფასო სახაიეს შენობაში იყო გამართული, ავჭალის ქუჩაზედ, 200 დე კაცი დაესწრო.

** კობიდგან იუწყებიან დეპეშით 13 თებერვალს, დილის 8 საათსა და 25 წამზედ, რომ შუადამიდგან თოვლი განუწყვეტლივ მოდის, ნამქერებია; ორივე მაიორშები ჩამოწვა; სამარხილო გზაა გაყვანილი ზევევზედაო. ყაზბეგისაკენ ადგილ-ადგილას გზა გაფუჭებულია, მარხილებსა და ეტლებს სვლა უძნელდებათო“.

** გუშინ ღამ-და გუშინ ისეთი დიდი ქარიშხალი მძვინვარებდა ქალაქში, რომ მრავალი ტელეფონის მავთული სულ მიგლიჯ-მოგლიჯა, ასე რომ ჩვენი ტელეფონი ვერ მუშაობდა.

ვერაზედ ცეცხლი გაჩნდა, რომელიც დიდად გაძლიერდა, რადგან ქარი ხელს უწყობდა.

** გაზეთ „არტისტ“-ის მე-45 ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ იპპოლიტოვ-ივანოვის წერილი ამ სათაურით: «ქართული სახალხო სიმღერები და მათი აწინდელი მდგომარეობა“. ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი ბევრს საყურადღებო აზრს გამოსთქვამს ამ საგნის შესახებ, რომელსაც ახლო მომავალში განვუზიარებთ ჩვენს მკითხველებს.

** გუშინ ერთი შესანიშნავი შემთხვევა გვქონდა მოხსენებული, რომელიც სურამში მოხდა, ე. ი. ზავგოროდნის მიერ ივან საველიჩის მანველოვის დაჭრა. გვატყობინებენ, რომ სასამართლოს მდივნის თანაშემწე ბ-ნი ზავგოროდნი უკვე შეუპყრიათ. გამოძიება სწარმოებს.

** ბ-ნს ექვთიმე ხელაძეს განუზრახავს ქართულს ენაზედ დაჰბეჭდოს ძველი ქართული ხელთ-ნაწერი „როსტომიანი“. ეს წიგნი ეკუთვნის სპარსეთის გამოჩენილს სახალხო პოეტს ფირდუსის. ქართულს ენაზედ ეს პოემა პირველად XII საუკ. უთარგმნიათ, მაგრამ შემდეგს საუკუნოებში ამის თარგმანი დაკარგულა და ამიტომ XVII საუკ. დამდეგს ხელ-მეორედ უთარგმნია ხოსრო თურმანიძეს. პოემა კარგა სქელი წიგნი გამოვა.

დამბეჭდი სთხოვს ჩვენს საზოგადოებას, რომ თუ ვისმეს აქვს ხელთ-ნაწერი ამ წიგნისა, დროებით დაუთმოს მას, ის სამაგიეროდაც ამ თავით ხელთ-ნაწერის ქირაში მიიღებენ 10 მანეთს და დაბეჭდვის შემდეგ ხელთ-ნაწერი ისევ პატრონს დაუბრუნდება და მასთანვე ერთი ეგზემპლიარი ახლად დაბეჭდილის წიგნისაც

** სოფ. ხევი, (დუშეთის მაზრა): ჩვენსკენ მეტის-მეტი ცუდი ამინდები დაიჭირა. 6 ამ თვეს დაიწყო თოვლა და $^3/_4$ არშინამდის თოვლი დასდო, შემდეგ საშინელი წვიმა მოჰყვა და თოვლი სულ გაადნო. ახლა სამხრეთის ქარი ჰქრის.

** ბარის-ოსები: ბარის ოსების ზოგ-ზოგს სოფლებში ინფლუენცამ იჩინა თავი. მიზეზი წლევანდელი თბილი ზამთარია. თავს არავინ უფრთხილდება, მოულოდნელად ცივდებიან და ინფლუენცად ექცევათ.

სოფ. ხუმელაგაში საშინელმა სენმა ყელქირვებამ იჩინა თავი, ერთს ოჯახში ერთის კვირის განმავლობაში სამი სული ყმაწვილი იმსხვერპლა 8, 9 და 11 წლისანი. ოთხს ამ თებერვალს ბარის ოსებში შუადღის შემდეგ ჯერ ცოტა ხანს ზენა-ქარმა იქროლა, შემდეგ გაწვიმდა, რომელმაც საღამომდის გასტანა. საღამოზედ კი თოვლა დაიწყო და სამ-ოთხ გოჯამდის თოვლი დასდო, მეორე დღეს ისევ მშვენიერი თბილი მზე გამოვიდა.

ბარის ოსებში ამ ჟამად ქურდობა ცოტა მიყუჩებულია.

## კორესპონდენცია.

**ს. ყვარელი,** (თელავის მაზრა) 11 თებერვალი. მცხოვრებთა სიმრავლით ყვარელი, სადაც ცხრაას კომლამდე მოსახლე ითვლება, ერთი უდიდეს სოფელთაგანია მთელს მაზრაში. იგი მდებარეობს კავკასიონის კალთების ძირობაზედ ერთს დაბლობს ადგილზედ, რომელიც შემოზღუდულია სამი მხრიდგან მთა-გორებით, ხოლო მეოთხე მხარე ფართოდ აქვს გახსნილი ალაზნის ველისაკენ—ამ კახეთის სოფლების სულის ჩამდგმელ წყაროსაკენ! გარდა იმისა, რომ ყვარელი მცხოვრებთა რიცხვით დიდია, იგი ამასთანავე შეძლებული და მდიდარიც არის; მისს სიმდიდრეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს ტყე-ველის სიახლოვე და სიუხვე, ნიადაგის სინოყიერე და მომცემლობა, წყლისა და ჰავის სისუფთავე და მარგებლობა. პირველს გაცნობაზედვე შეამჩნევთ ყვარელს ღონეს ჯერ იმით, რომ მის მკვიდრთა სახლები სულ ქვითკირისაა, თითქმის ეზოები და ბოსტან-ბაღებიც-კი ამგვარი გალავნებითა აქვთ შემოყორილი; მერე იმით, რომ ყვარელში ოც-და-ათამდე სხვა-და-სხვა სავაჭრო თუ სახელოსნო დუქანია; მესამედ იმით, რომ ყვარელს აქვს მშვენიერი ორკლასიანი სკოლა, რომლის ხარჯად წელიწადში სამოც თუმანზედ მეტს იხდის, გარდა ამისა, უძლევა მთავრობისაგან დაყენებულ მამასახლისის ჯამაგირს და სხ.

ამ ორი თუ რამდენიმე წლის წინად ყვარელს ჰყავდა, როგორც სხვა სოფლებს, არსებულ წესისამებრ თავის მცხოვრებთაგან ამორჩეული მამასახლისი, რომლის დროსაც თურმე ძალიან გახშირებული იყო მეზობლებში მტრობა და შური, ქურდობა-ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, სახლ-კარის და ძნა-თივის გადაწვა, ვენახების გადაკაფვა და სხვა. ამ გარემოებამ, რომელიც შედეგი იყო, როგორც გამოირკვა, სამამასახლისო კანდიდატების მომხრეების ერთმანეთში ჯავრის ამოყრისა, შურის ძიებისა,—გამოიწვია მთავრობისაგან მამასახლისის დანიშვნა. ამავე მიზეზით ამავე ხანებში ყვარელის საბოქაულოში დანიშნეს ბოქაულად წინანდლის განყოფილების სამართლიანი, მხნე, გამჭრიახი, დაუზარელი და თავისის საქმის მცოდნე და აღმასრულებელი ბოქაული ნ. იორამოვი, რომელმაც, მცხოვრებთავე თქმით, დაამშვიდა და სრული წესიერება აღადგინა ყვარელში. ამ ჟამად ბ-ნი იორამოვი გადაყვანილ-იქმნა თიანეთის მაზრაში. ამიტომაც ყვარლის საზოგადოების წევრთ 9 თებერვალს გაუმართეს მას გამოთხოვების სადილი, რომელზედაც გამოსთქვეს თავისი გულითადი პატივისცემა და სიყვარული მისდამი იმ ღვაწლის გამო, რომელიც ბ. იორამოვმა დასდო ერთიურთის სამტროდ ამდგარ მოძმეთა შორის მორიგებისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის.

თუმცა ზემორე ნათქვამს ბევრად

---

ქალი, რომელმაც თავისის ცოდნით მეცნიერებაც-კი უნდა გაამდიდროს, მკითხველი შემდეგის ფაქტიდგან დაინახავს.

ამ ერთის კვირის წინად მე მიმიწვიეს ერთს ავადმყოფთან. აღმოჩნდა, რომ საბრალოს მთელს მარჯვენა ბარკალში ანთება გაჩენოდა, ის საშინელი ანთება, რომელსაც „ანტონის ცეცხლს“ ან „განგრენას“ ეძახიან. რადგანაც ეს სენი თავისთავად იშვიათადა ჩნდება და უმეტეს ნაწილად ზედ ერთვის ხოლმე ჭრილობას, ამისთვის მე გამოვკითხე ჭირისუფლებს, იქმნება ჰქონდა რამე ჭრილობა ან იარა-თქო, მაგრამ ამის პასუხად მხოლოდ სიჩუმე იყო და რაღაც აბნევა და ყოყმანი ჭირისუფალთა სახეზედ. მაშინ მე მივმართე ფერშალს, რომელიც ჩემს მისვლამდის მოეყვანათ და აი რა გავიგე მისგან: ამ დრომდის ავადმყოფი სრულიად ჯანსაღად იყო, მხოლოდ დრო-გამოშვებით ქარების ტკივილი აწუხებდა თურმე მარჯვენა ფეხში. იმან მიჰმართა თავისს მეზობელს თავართქილაძის ქალს, რომელმაც კანში რაღაც წამალი შეაშხაპუნა თურმე. სწორედ იმ ალაგს, სადაც კანი გაიჭრა, ანთება გაუჩნდა, რომელიც სწრაფად მოედო მთელს ბარკალს და ანტონის ცეცხლათ გარდაექცა. ფერშლის სიტყვების სიმართლეზედ ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო: თვით სენის სურათმა, იმ ალაგის გაჩხრეკამ, სადაც დედაკაცს შეესხა და იმ გარემოებამ, რომ ამ დრომდის მუწუკიც რა არის, ისიც არას დროს არ გამოჰსხმია, სრულიად დამარწმუნეს, რომ ეს დედაკაცი ყოფილა მიზეზი ამ საშინელის სენის შეყრისა, რომელმაც კიდეც იმსხვერპლა საბრალო ავადმყოფი. *)

თანამედროვე სამკურნალო მეცნიერების ლექსიკონიდგან სიტყვა „განგრეთა‘‘ სრულიად განდევნილია და ის დოსტაქარი-ექიმი, რომელსაც თავისს მოღვაწეობაში ასეთი მიუტევებელი შეცდომა მოუვა, ღირსიც არ არის ატაროს მკურნალის სახელი. რა და რა საოცარს ოპერაციებს არ აკეთებენ ახლანდელს დროში, მაგრამ აბა ვის გაუგონია ესა და ეს ავადმყოფი ,,განგრენამ‘‘ იმსხვერპლაო? იყო დრო, როდესაც ეს საშინელი სენი ისეთი ხშირი მოვლენა იყო საავადმყოფოებში, რომ მეტ-სახელად ,,საავადმყოფოს განგრენა‘‘ დაარქვეს. ეს დრო სამუდამოდ წავიდა. ახლა მეცნიერებას ისეთი საშუალებანი აქვს ხელთ, რომლის წყალობითაც ასეთი ფაქტი აწ შეუძლებელია.

მეცნიერება გვასწავლის, რომ ყოველგვარს ანთებას თავისი ორგანიული მიზეზი აქვს, და ამ მიზეზათ სთვლის სხვა-და-სხვა მავნე მიკრობებს რომელნიც მილიონობით ფუსფუსებენ ჰაერში. რა-კი ასეთი მიკრობი როგორმე ჭრილობაში მოჰყვება, მაშინვე ანთებას აჩენს, თუ თავის დროზედ შესაფერი ზომები არ იქმნა მიღებული. საერთოდ იმ ზომებს, რომელთაც მეცნიერება ხმარობს იმისათვის, რომ ჭრილობას მიკრობების გავლენა ააშოროს და სუფთად შეინახოს ანტისეპთიკა ჰქვიან. ყოველი ექიმი-დოსტაქარი, რომელსაც მუდამ ჭრილობასთან აქვს საქმე, ვალდებულია ანტისეპთიკის კანონებით ჰხელმძღვანელობდეს. გარდამეტებული სისუფთავე ყველა საგნებისა, რომლებითაც ჭრილობას უნდა შეეხონ, სახელდობრ იარაღისა (ინსტრუმენტებისა), დოსტაქრის ხელებისა, ღრუბლისა და სხვ., რისთვისაც ხმარობენ სხვა-და-სხვა მიკრობებისათვის სასიკვდილო საწამლავ ნივთიერებას, აგრეთვე ჭრილობის იმ გვარად შეხვევა, რომ ჰაერიდგან მიკრობები არ ჩაცვივდეს შიგ, — აი ის უმთავრესი წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა ყოველ ნასწავლ დოსტაქარისათვის. თუ იგი ამ წესს გულ-მოდგინედ მისდევს, თამამად შეუძლიან მცირე გაუჭრას ავადმყოფს, მერე გაუკეროს, და ამით-კი არა ევნოს-რა უკანასკნელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მცირედი კანის გაკაწვრაც-კი შესაძლებელია სასიკვდილო სენად გარდაიქცეს.

ნათქვამიდგან თითონ მიხვდება მკითხველი, თუ რა იყო სიკვდილის მიზეზი ზემოდ მოყვანილს შემთხვევაში: თავართქილაძის ქალმა, რომლის კარაბადინში ანტისეპთიკაზედ, უეჭველია, არაფერი იქმნება ნათქვამი, სრულიად ჯანსაღს ადამიანს რაღაც იარაღით კანი გაუჭრა, წამალი დაადვა თუ შეასხა, და რადგანაც ეგ წამალიც და ეგ იარაღიც, უნდა ვიფიქროთ, უსუფთაო, უწმინდური იყო, თან ანთების მიკრობებიც შეიტანა სხეულში და ანთება გაუჩინა.

ჩვენ არ ვიცით, როგორ უქმა კორესპონდენტისაგან ჯაინოზ-ექიმად აღიარებულმა თავართქილაძის ქალმა იმ „ბარკალზედ მუწუკ-გამოსხმულს“ ავადმყოფს, ხოლო ზემოდ მოყვანილ ფაქტიდგან ის პირდაპირი დასკვნა გამოდის, რომ გურული ჯაინოზ-ექიმი ერთობ დახელოვნებული ყოფილა იმ ნაწილში, რომელიც ოთხს დღეზედ სრულიად ჯანსაღს კაცს სულსა ჰხდის! ამის შემდეგ, როგორ არ მოვიდრიკოთ მუხლნი და არ ღაღად-ვყოთ: «ჰოი, დიდებულო მოძღვარო! გვაუწყე ჩვენ უვიცთა საიდუმლო სასწაულთ მოქმედებისა თქვენისა»?

ბოდიშს ვითხოვთ, რომ ამ ქალბატონზედ ცოტა სიტყვა გაგვიგრძელდა; მაგრამ რას იზამთ, როცა უცნობი კორესპონდენტი საქვეყნოდ

*) მე ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი, ეს შემთხვევა ვისთვისაც ჯერ-არს მეცნობებინა, რათა ეს თავ-აშვებული ქალბატონი პასუხის გებაში იქმნეს მიცემული,

არ მიეკერება, მაგრამ მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ წლის იანვრიდგან ყვარლის ორკლასიანს სასწავლებელს მიემატა სახელოსნო განყოფილებაც, რომლის მასწავლებლად დანიშნულია ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში კურს დამთავრებული გ. კვიჟინაძე. ამ განყოფილებისთვის სამოსწავლო მთავრობისგან გადადებულია ოც-და-თხუთმეტ თუმნამდე ყოველწლიური ხარჯი მასწავლებელზე და სახელოსნო საჭიროებაზედ, იარაღებიც ამთავითვე სულ მთავრობის ხარჯით არის ნაყიდი, ასე რომ სოფელს და საზოგადოებას არავითარი ხარჯი არ მოჰსვლია და არც მოუვა შემდეგში... ამავე სასწავლებელში აჰყავენ შეგირდებს აბრეშუმის წესიერად მოყვანას, რომლისთვისაც ყველა საჭირო მასალა და აპარატები მთავრობის ხარჯითა აქვს მიღებული ხსენებულს სკოლას.

კახეთში ამ ჟამად ისეთი დღრებია, რომ უკეთესს ადამიანი აღარ ინატრებს. მთელი იანვარი ისე გავიდა, რომ მუშტის ტოლა ღრუბელიც არავის შეგვინიშნავს ცაზედ. ისეთი თბილი ამინდებია, რომ ლამის მიწამ მწვანილი აღმოაცენოს და ხემ ფოთოლ-ყვავილი გამოსცეს: თუმცა ასეა საქმე, მაგრამ ჩვენ კიდევ უნდოდ „ვაის“ გავიძახით, რადგან არ ვიცით, რა ბოლო ექნება ამ ამინდს.

ფშაველიშვილი.

—

**სოფ. სვენეთი,** (გორის მაზრა): დღეს, 12 თებერვალს, აქ ერთი მეტად შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა. ერთს მთიულს მეცხვარეს, რომელსაც ცხვარი ამავე სოფელში უყენია, გაერეკა ცხვარი სოფლის პირას დასარყულს მიწაში საძოვრად. დაენახათ თუ არა მიწის პატრონებს, მაშინვე გაქცეულიყვნენ და იმ მეცხვარისათვის ერთი ცხვარი წაერთმიათ. როცა ცხვარი შინ მოჰყავდათ, წინ შემოჰყრიათ ცხვრის პატრონი ოსი გიორგი (იგივე გიცა) გოიაშვილი, რომელიც თავისს ცხვარში მიდიოდა. დაუნახავს თუ არა ცხვარი, მაშინვე უცვნია; უნდოდა თურმე წაერთმია, მაგრამ უკანასკნელებს არ დაუნებებიათ. ამასობაში მოჰსვლიათ ჩხუბი—ამ ჩხუბში ოსმა რევოლვერით ორი კაცი მოჰკლა, ღვიძლი ბიძაშვილები: სანდრო და ილო სათაშვილები. მაშინვე მთელი სოფელი თავს დაჰსხმია, მაგრამ რაღას უშველიდნენ. საბრალო ორივე მოკლულნი დაუდეს ერთს ურემზედ და ისე ამოიტანეს შინ, ცოლ-შვილთან. ილომ მაშინვე დალია სული და სანდროც ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა. საბრალოები ჯერ ისევ ყმაწვილები იყვნენ, სანდრო 30 წლისა და ილო 28 წლისა. მკვლელი ოსიც ნაცემია და ფარეხში წევს დაპატიმრებული.

## ნაწყვეტი.

—

კით დაგდებს წუნსა, ლამაზო,
კაცი კაცურად ცნობილი,
არ ხარბი, შურის არ მქონე,
გულ-კეთილად ხმობილი?
ქვეყნისა მომე—ქვეყნად
დაბადებული, შობილი,
თუ კი ლამაზო, მაგ გვარად
იქმენ გულითაც მკობილი!..

დ. ნინოწმინდელი

## ორიოდე სიტყვა რუსუდანიანზედ

ერთი ძვირფასი ნაშთი ჩვენის ლიტერატურისა, სხვათა შორის, არის «რუსუდანიანი», უცნობის ავტორისა და უცნობს დროს დაწერილი. იმ ხელ-ნაწერს, რომელიც მე მქონდა, არც დრო დაწერისა, არც სახელი დამწერისა არ შერჩენია. რადგანაც ამ ბოლოს დროს ისევ გაცხოველდა სიყვარული საერო სიტყვიერებისადმი, ამიტომ ორიოდე შენიშვნა მინდა გავუზიარო მკითხველებს „რუსუდანიანის“ შესახებ. ამ მოზრდილის ხელნაწერის წაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ იგი არის კრებული არაკთა, რომელნიც შეიძლება ავტორმა ჩასწერა თვით ერის პირით. ამ აზრს აცხოველებს ის გარემოება, რომ ზოგ-ზოგი ამ არაკთაგან აქამდის ტრიალებენ ხალხში. რასაკვირველია, შეიძლებოდა ხალხში შემდეგ მწერლობის წყალობით გავრცელებულიყო ის ამბები, რომელნიც «რუსუდანიანშია» მოხსენებული. ამ აზრის დასამტკიცებლად საჭიროა გამოკვლეულ-იქმნას, რა დროს ეკუთვნის დედანი ამ კრებულისა, საიდგან და ვის შემოუტანია საქართველოში, რამდენად გავრცელებული ყოფილა ჩვენს ქვეყანაში. კიდეც რომ აღმოჩნდეს „რუსუდანიანში“ საერთო ზღაპრები სხვა ცნობილ კრებულებთან, ეს მაინც კიდევ არ იქნება დასამტკიცებელი საბუთი, რომ „რუსუდანიანი“ ნათარგმნი თხზულებაა. უფრო ადვილი ახსნა შეიძლება მკითხველს დაებადოს თავში ამ ერთ-გვარობის გამოსარკვევად: არაკი, მაგალითად, პანჩატანტრაში, ანუ „არაბულ ათას ერთ ღამიანში“ მოხსენებული, შემოსულა საქართველოში პირადის გარდმოცემით, ან არა საერთო ფსიხოლოგიური, ზნეობრივი და საზოგადოებრივი პირობები გახდნენ ორს განსხვავებულს ადგილას ერთისა და იმავე შინაარსიანის არაკის შექმნის მიზეზად. ჩვენ არ ვიცით არც ერთი კრებული აქამდის ცნობილი, რომელიც „რუსუდანიანის“ დედნად მიღებულ-იქმნას. ამიტომ ვფიქრობთ, „რუსუდანიანი“ არის კრებული ქართულის არაკებისა ზნეობითის აზრით გადაბმული ერთმანეთზედ, იგია შექმნილი ქილილა და დამანის მსგავსად და წარმოადგენს ნაციონალურ ზღაპრების შემუშავებას ზნეობითის მიმართულებით.

ა. ხახაშვილი.

## შენიშვნა

ზ. დამსწრეს წერილის გამო.

როგორც შარშან, ისე წრეულაც განჯელმა ქართველობამ თითონ დაიწყო ზრუნვა, რომ ქართული საღამო გაემართა და ამ საღამოს შემოსავალი მოჰხმარებოდა იმ ქართულ საქველ-მოქმედო საქმეს, რომელსაც უფრო ძალიან უჭირს ამ ხანად ნივთიერი დახმარება. მართალია საღამოს მასპინძლად და გამგედ პატივცემული ქ. ა. ყანჩელისა ამოირჩია საზოგადოებამ, ხოლო იმის გარდაწყვეტა, თუ რომელს საქველ-მოქმედო საქმეს უნდა მოჰხმარებოდა ამ საღამოს შემოსავალი, ეს საზოგადოებას არავისთვის არ მიუნდვია, თუმცა გარდასწყვიტეს, რომ ერთი მესამედი წლევანდელ საღამოს შემოსავლისა გარდაეცეს განჯის წმიდა ნინოს სასწავლებელს; მაგრამ არ ვიცით, საიდგან გამოუგონია თქვენის გაზეთის კორესპონდენტს ზ. დამსწრეს, ვითომ გადაწყვეტილი ყოფილიყოს შემოსავლის დანარჩენი ორი მესამედის გადაცემა მომავალ ქართულ ქალების სკოლის სასარგებლოდ.

ამ საგანზედ, მართალია, იყო ლაპარაკი და გარდავწყვიტეთ კიდეც, დანარჩენი ორი მესამედი ამ შემოსავლისა ქართულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ გადაგვედვა, მაგრამ რადგან ამ მოლაპარაკებას ზოგიერთი მოთავენი ვერ დაესწრნენ, გარდავწყვიტეთ კიდევ ერთად მოლაპარაკება. როგორც ჰხედავთ, ეს საქმე ჯერაც კიდევ არ არის გათავებული...

მომავალი ქალების სკოლა ძალიან სასარგებლოა და ძლიერ საჭიროდაც მიგვაჩნია, რადგან სწავლა-განათლება როგორც კაცებისთვის ისე ქალებისათვის, მეტადრე ქართველობაში, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; მაგრამ „მომავალი სკოლა“ მაინც კიდევ მომავალია და ჯერ არ არსებობს. მისი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ფულის მოგროვებას და სხვა მუდმივს წყაროს ვუშოვნით. თუ ამ სკოლას მუდმივი წყარო არ აღმოუჩნდა, იმისი დაარსება შეუძლებელი იქმნება, რადგან იმისს შენახვას წელიწადში უკანასკნელი ორი ათასი თუმანი მაინც დასჭირდება. საზოგადოებაში-კი აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ფულს ვაგროვებთ, და, თუ არა ვცდებით, ეს ფული აქამდე ათას ხუთასს მანეთს არ აღემატება, აშკარაა, რომ თუ ათის წლის განმავლობაში ათას-ხუთასი მანეთის მეტი ვერ შევაგროვებია, მუდამ ცისმარე წლიწადს ორი ათას თუმანს ჩვენი პატარა საზოგადოება ვერ მოგვცემს. რაკი „მომავალი ქალების შკოლის“ გახსნა ასეთი სათუო საქმეა, ჩვენის აზრით, საუმჯობესოა ამ „ქართულ საღამოს“ შემოსავლის დანარჩენი ორი მესამედი გარდაეცეს ქართულ სალიტერატურო ფონდს, რომელსაც არც ერთ სხვა ქართულ საზოგადო საქმეზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს.

ქ. განჯა, 10 თებერვ. ზ. უზნაძე.

## რუსეთის ცხოვრება.

—

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს პროფესორის კრასნოვის მეთაურობით ექსპედიცია გაჰგზავნოს თბილს ქვეყნებში ჩაის მოყვანის შესასწავლადო. როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ეს განზრახვა საქმეთ ქცეულა და ამ მოკლე ხანში ეს ექსპედიცია უკვე გაუდგება გზასა.

—

სამეურნეო საბჭოსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ნორმალურის პროექტის განხილვა, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა, პროექტი ძირეულად იქმნა შეცვლილი და სამეურნეო საზოგადოებათა მოქმედებას უფრო ფართო ასპარეზი მიეცა.

—

პროექტი იმ წესდებისა, რომელიც შეეხება ხალხის საკვების სათადარიგოდ შენახვას, განხილულ იქმნება მიმდინარე სესსიის მიერ სახელმწიფოს საბჭოს საგანგებო კრებაზედ.

—

კიშინევის საგუბერნიო ერობას გარდაუწყვეტია, უმაღლესს მთავრობას სთხოვოს, რომ იმ გლეხ-კაცებს, რომელთაც სასოფლო სასწავლებელი გაუთავებიათ, როზგები აღარ დაარტყან ხოლმე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„Times“-ის სიტყვით სომხეთში გაგზავნილს გამომძიებელს კომისიას თორმეტჯერ ჰქონია კრება. უკანასკნელს კრებაზედ ერთს სომეხს შემდეგი ჩვენება მიუცია, სრულიად წინააღმდეგი იმ ჩვენებისა, როგორც ოსმალოთ უჩვენებიათ. როგორც-კი გარემოება ნებას მისცემს, კომისია დაათვალიერებს სასუნის ოლქის იმ ადგილებს, სადაც ეს ვითომდა სომხეცე ჩაუდენიათ ოსმალელებს.

დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდგან ინგლისურს ჟურნალ-გაზეთებს: რადგანაც გამომძიებელ კომისიის ზოგი-ერთმა წევრებმა აცნობა თა-

---

ღრიალებს მისს სასწაულ მოქმედებაზედ და მეცნიერებასაც-კი ურჩევს მისის ცოდნით ისარგებლოს? მე როგორც სოფელში მცხოვრები ნასწავლი ექიმი ვალდებულად ვრაცხდი ჩემს თავს ფარდა ამეხადა ამ უმეცრებისა და ცრუმორწმუნოების კერპისთვის და დამენახვებინა, რომ ის იმდენად ღირსია რწმენისა, რამდენადაც დანარჩენნი სოფლის გაქნილი მატყუარა მკურნალ-მკითხავნი, რომელთა სახელი ლეგიონია და რომელთა თავ-აშვებულსა და შემაძრწუნებელს მოქმედებას საზღვარი არა აქვს.

რითი უნდა აილაგმოს ეს გაკადნიერებული ხალხი, რომელნიც იმდენად მოხერხებულნი არიან, რომ არამც თუ უმეცარი ხალხის რწმუნებას, არამედ კორესპონდენტების გულსაც-კი იგებენ? რა ეშველება ამ საზოგადო სენს, რომელიც ერთიანად ძირს უთხრის, როგორც ხალხის ზნეობას, ისე მისს კეთილ-დღეობას? რა წამალს უნდა მივმართოთ, რომელი ბრძოლის იარაღი ვიხმაროთ?—აი საკითხავები, რომელნიც უნებლიედ გვებადება თავში, რა-კი ამ საზოგადო მოვლენას შევეხებით.

ხალხში ცოდნის სხივის შეტანა, განათლება, უეჭველია, ერთი უპირველესი საშუალებათაგანია ამ სენთან საბრძოლველად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეგ საშუალება ერთობ გვიან ჰმოქმედებს, და სანამ იმას მოვესწრებოდეთ, რომ გონება-განვითარებულმა დაბალმა ხალხმა თვითონ გამოსცნოს კეთილი ბოროტისაგან, ჭეშმარიტება ცრუმორწმუნეობისაგან, ბევრი კოკა წყალი ჩაივლის და ამდენივე ცრემლიც დაიღვრის. პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გასძვრება. კანონიო? — გვეტყვიან, — კანონით ხომ შეიძლება მაინც ამ მატყუარა ხალხის პასუხის გებაში მიცემაო? იმათ ხომ ექიმობის ნება არა აქვთო? საქმე იმაშია, რომ კანონი ამაზედ გარდაწყვეტილს პასუხს არ იძლევა: კიდეც აქვთ უფლება და არც აქვთ. ერთის მხრით „ნება-დაურთველად ექიმობისთვის“ ისინი ისჯებიან ციხეში ცოტა ხნით დაპატიმრებით, მეორეს მხრით-კი კანონი კაცთ-მოყვარეობის სახელით ნებას იძლევა ავადმყოფობის დახმარებისას. ეს მეორე მუხლი კანონისა თითქმის სრულიად აქარწყლებს პირველის ძალას: საკმაოა დამნაშავემ დაამტკიცოს, რომ მისს მოქმედებაში ანგარებას ადგილი არა ჰქონია, რომ მხოლოდ კაცთ-მოყვარეობის გრძნობამ აიძულა, ავადმყოფს დაჰხმარებოდა, — და ის მცირედი სასჯელიც-კი ასცდება თავიდგან, რომელსაც კანონი „ნება-დაურთველ“ ექიმობისათვის მიუსჯის ხოლმე. ეს კიდევ არაფერი: კანონი შეუძლებელად ჰხადის სრულიად აღკრძალოს სოფლის მკურნალებს ექიმობა, (ასე ამბობს უმართებულესი სენატი ერთს თავისს განაჩენში), რადგანაც ნასწავლ ექიმთა რიცხვი ჯერ ერთობ მცირედია, და იმათ რომ აღეკრძალოს ავადმყოფის დახმარება, ხალხი უნუგეშო მდგომარეობაში ჩაცვივდებაო. აქედგან ცხადზედ უცხადესი დასკვნა გამოდის, ის, რომ სისხლის სამართლის კანონ-დებულებაში არ არსებობს არც ერთი განსაზღვრულად, მკაფიოდ გამოთქმული კანონი, რომელზედაც იმედეულად შეეძლოთ დამყარება სამართლის წარმომადგენელთ და რომ ამგვარის კანონებით ბევრს ვერაფერს გავარიგებთ მატყუარა სოფლის მკურნალების წინააღმდეგ.

მაშ რა ვქნათ? ნუ თუ გულ-ხელი დავიკრიბოთ და ვუცქიროთ გულდინჯად, როგორ აწიოკებენ სოფელს ეს ხალხის-ჭამიები. არა, კიდევ არის ხსნა და საშუალება: ამ ხსნას უნდა მოველოდეთ ახალგაზდა ნასწავლ ექიმებისაგან, რომელთა რიცხვიც თან-და-თან ჰმატულობს ჩვენში ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ. ისინი უნდა გაიმსჭვალნენ იმ აზრით, რომ აქ, უმეცარსა და ბეჩავს სოფელში არიან ისინი უფრო საჭირონი, ვიდრე ქალაქში, სადაც უიმათოდაც გაცხარებული ბრძოლაა არსებობისათვის ექიმთა შორის; რომ სოფელში ელის მათ ფართო და ნაყოფიერი შრომის ასპარეზი, რომელზედაც შეეძლებათ სავსებით გამოიჩინონ თავიანთი ზნეობრივისა და გონებრივის საუნჯის ძალა და გავლენა. იმათ უნდა იცოდნენ, რომ გაჭირვებული სოფლის კაცი იმიტომ მიჰმართავს ხოლმე მარჩიელ-მკითხავებს, რომ ნასწავლი ექიმი არა ჰყავს ახლო, რომლისაგანაც რჩევისა და დახმარების მიღება შეეძლოს. თითო-ოროლა ნასწავლი ექიმი, რომელიც აქა-იქ ჭაჭანებს სოფელში, აბა რა სათვალავში მისაღებია? ეს ხომ წვეთია ოკეანეში! არა, აქ საჭიროა შეერთებული ძალა მთელის რაზმის ახალგაზდა ექიმებისა, რომელთაც ღონეც შესწევთ და სურვილიცა აქვთ მუშაობისა. თუ-კი ისინი უკუ აგდებენ თავმოყვარეობის გრძნობას (დროებით მაინც), და თავიანთის მოღვაწეობის სარბიელად სოფელს აირჩევენ, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ რამდენსამე წელში მატყუარა სოფლის ექიმბაშების გავლენა თუ სულ არ მოისპო, იმდენად მაინც შემცირდება, რომ სათქმელადაც-კი აღარ ეღირება. მაშ, მოაშურეთ სოფელს, ახალგაზდა ექიმებო! თუ-კი შრომის სურვილი გაქვთ, უსაქმოდ არ დარჩებით. მომკალნნი არ სჩანან, თორემ სიცოცხლე გაქვთ, სამკალი აქ იყო! ის თქვენ გელით და უხვის ნაყოფის მოცემასაც გპირდებათ.

დიმ. ერისთავი.

ვისს ელჩს, რომ იმათმა სურვილმა სომხების ერთის სოფლის ნახვის გამო წინააღმდეგობა გამოიწვია ოსმალეთის კომისიის წევრთა მხრივ, რომლებიც ჰფიქრობდნენ, რომ მხოლოდ მოწმებით შეიძლება დამტკიცდეთ და ადგილობრივი გამოძიება სულ მეტიაო, 2 (14) თებერვალს ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვეს ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა, რომ კომისიას ნება მიეცეს, ადგილობრივ მოახდინოს გამოძიება. ჯერ გარდაწყვეტილება არ მიუღიათ.

საზოგადოდ, როგორც ინგლისური ჟურნალ-გაზეთები ჰლაპარაკობენ, ოსმალეთის მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უშლის ამ საქმის გამოძიებას და ქურთნი-კი დღევანდლამდის არა ჰსჯობენ თავისს ძალმომრეობას.

ტრაპეზუნდიდგან სწერენ «Daily News»-ში:

გამოძიების ასეთმა გაძნელებამ ის გამოიწვია, რომ ქურთებმა ხელ-ახლად იხმარეს ძალ-მომრეობა ბითლის გვლაიეტში. სამსახურიდგან დათხოვნამდე გუბერნატორად ნამყოფმა თაჰსინ-ფაშამ უბრძანა, რომ ყველა სომხები დაეტუსაღებინათ, რომელნიც ჩვენებაც რამე ნათელსა ჰფენდა სასუნში მომხდარს ბოროტ-მოქმედებას. საქმე ის არის, რომ სასუნში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და სომხები სრულიად უმიზეზოდ ამოსწყვიტესო.

# უცხოეთი

**ბერლინი.** იმ დროს, როდესაც გერმანიაში ახალის კანონებით თანდა-თან სცდილობენ შეზღუდონ სიტყვისა და აზრის თავისუფლება და ამ გარემოებას საზოგადოება თითქოს სიჩუმით და უგრძნობელად ეკიდება —ამავე დროს იმავე გერმანიაში, ბერლინში, გამოდის მოხუცი ლიტერატორი და რიხიანის ხმით მიჰმართავს სადაც ჯერ-არს. ეს ლიტერატორი გახლავთ სახელ-განთქმული იენსენი და იმისი სიტყვა მიმართული გერმანიის ინტელიგენციისადმი.

საზოგადოდ ეხლა ბერლინელები სულ ამ ახალის კანონების მითქმა-მოთქმაში არიან. სჯიან, კამათობენ, სცდილობენ მიხვდნენ რა შედეგი უნდა მოჰყვეს მაგ კანონებს, და უფრო-კი დაცინვის კილოთი ექცევიან მას. ,,კმარა სიცილი და კბილების ღრეჭა! წარმოსთქვა იენსენმა, ეხლა ოხუნჯობისა და კისკისისათვის დრო არ არის, ეგ ვერაფერი იარაღია სასიკვდილოთ გამოწვეულს ბრძოლაში. ან რა აცინებს მას, ვისაც შიგ ცეცხლი გაჩენია? დღეს ჩვენ ჯერჯერობით ხელთა გვაქვს ყოველის თავისუფალის ადამიანის იარაღი: ხმამაღალი სიტყვა პატიოსნებისა, რომელსაც მიძინებულის გაღვიძების უნარი აქვს. სულით სიმდაბლეს გვექადის ჩვენ ყველას, ჩვენს შვილებს ახალი კანონი? ნუ თუ ვერ ჰხედავთ, რომ მაგ წინადადებას აზრათ ადამიანის გონების დახშვა აქვს—და სხვა არაფერი?''

კერძოდ ინტელიგენციაზედ იენსენი გაიძახის: ,,ყმაწვილ-კაცობას გერმანიის აწინდელმა ისტორიამ წაართვა ყველა ის, რაც ყოველის ახალგაზდის სიამაყეს შეადგენს: იდეალებით გატაცება, დამოუკიდებლობის ძიება და სიმართლე. ვინც-კი დამოუკიდებელის გონების პატრონი იყო —მას დაუხშეს კარი სახელმწიფო ასპარეზისა, პატივისცემა და ნდობა-კი ხასიათისა და რწმუნების მოკლებულებთ მიენიჭათ. სად არის ეხლა წინანდელ გერმანიის მოზარდი თაობა? ოჰ! რა დაბლა დავეცით გერმანელები 1870 წლის აქეთ''.

დასასრულ, იენსენი გულს იმითი იმშვიდებს, რომ ათი-ათასი და ასი-ათასი პატიოსანი გერმანელი ხომ კიდევა გვყავს—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პატიოსანთა წრე იქონიებს გავლენასაო და ჩვენი წარსულიც არ დაავიწყდებაო. ასე ჰგოდებს ჭაღარა თმით მოსილი იენსენი, ასე თრთის იგი და თავისის სამშობლოს მომავალი აწუხებს.

ამ ამბავში საგულისხმო ერთი გარემოებაა: ეს ახალი კანონები თუ-კი ასე აშინებენ კულტურით და ცივილიზაციით განთქმულს გერმანელებს, რამდენად საშიშარი და მავნებელი უნდა იყვნენ მაგგვარი კანონები იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც გერმანიას ბევრად უკან ჩამორჩენილან.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ამა წლის «ივერიის» მე-13 №-ში ახალ ამბავში წავიკითხე კაკკავიდგან მოწერილი კორესპონდენცია, რომელშიაც ბ-ნი კორესპონდენტი ცოტა შეცდომაში შესულა. სხვათა შორის იწერება: „ამ დღეს მამა ბაკურაძემ, რომელიც საკუთრად ამ საქმისთვის მოვიდა სოფლიდგანაო''-ო; ,,მოვიდაო'', აქ ისე გამოდის, რომ, ვითომც მე ჩემის ნებით მივსულიყო და მეწირნის კაკკავის მველს საკათედრო ტაძარში, მაგრამ, აი საქმე როგორ გახლდათ: კაკკავის ქართველის საზოგადოების თხოვნით ეპისკოპოსმა ვლადიმერმა დამნიშნა მე წელს 14 იანვრისათვის, რომ ქართულად შემესრულებინა ღვთის მსახურება, რომელზედაც მოწერილობაც მომივიდა მისის მეუფების კანცელარიიდგან, და მეც ამიტომ მივედი კაკკავში და შევასრულე დამისთევით ლოცვა, წირვის წესი, საკვდრებელი ჰარაკლისი წმ. ნინოსი და სხვა, როგორც ჰბრძანებს კიდეც თვით ბ-ნი კაკკაველი კორესპონდენტი.

მღ. ნ. ბაკურაძე.

სოფ. ხუმელაგა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ტფილისის დეპუტაციამ 10 თებერვალს პეტრე-პავლის ტაძარში პანაშვიდის გარდახდის შემდეგ, ურიცხვ მლოცველთა თანადასწრებით, ღვთივ მიერ გარდაცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე III-ის საფლავს ვერცხლის გვირგვინი დაადვა.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი ხვალ საგანგებო ორთქლის მატარებლით ვენაში წაბრძანდება ერცჰერცოგის ალბრეჰტის დასაფლავების დასასწრებლად.

**ბელგრადი.** მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის მიტროპოლიტმა წინააღმდეგობა განაცხადა, ოსმალეთის მთავრობამ მაინც მიუწერა ქ. ელეზეს მახლობლად მყოფს ყველა სეერბიის ეკკლესიებს, რომ წირვა ბერძნულს ენაზედ იყოს ხოლმე სლავიანურის ნაცვლად, რომელიც მხოლოდ ბოლგარიის საექსარხოსოშია ნებადართული.

**ლონდონი.** ტოკიოდგან იუწყებიან, რომ იაპონიის პარლამენტმა გარდასწყვიტა, 100 მილ. იენი კიდევ ივალოს სამხედრო საჭიროებისათვისაო.

**ლონდონი.** 13 თებერვალი. ლორდ როზბერის ავადმყოფობამ უკლო.

ლონდონში მყოფს ოსმალეთის ელჩის რუსტამ-ფაშას მოადგილედ კარა-თეოდორი-ფაშას ასახელებენ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

# იყიდება

საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში ი. მურადოვისა ქუთაისში პირველის ხარისხის ყოველგვარი რვეულები—ასი 3 მან.

მეორე ხარისხისა—2 მან. და აგრეთვე სხვა-და-სხვა ნივთები იაფად.

(3—983—2)

## ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

## ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირ-(кастор. масло), სალომპრო და მოხარშული დასაფერავ, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ზოთლობით ისყიდება კავკასიის საფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, ახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუდდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის საკვები ჩენჩო.

(10—982—2).


## „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქ გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქციის ადგილი: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.


საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის კრებული**

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Февраля 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.